1940.

ᲣᲤᲐᲡᲝᲓ

ᲡᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

№ 9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1940 წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

1. ბრძანება № 3228—გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 2
2. ბრძანება № 5351—მაკარენკოს თხზულებათა თარგმნისა და გამოცემის შესახებ . . 4
3. ბრძანება № 4370—მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ 5
4. ბრძანება № 4816—პოლიტგანმუშაკთა დაუსწრებელი სწავლების კომბინატის რეორგანიზაციის შესახებ 6
5. დებულება—სოფლის პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რაიონული სემინარებისა 7
6. დებულება—მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმისა 7
7. დებულება — მხარეთმცოდნეობის სარაიონო მუზეუმისა 13
8. ინსტრუქცია—მუზეუმის ექსპოზიციის წესის შესახებ 16
9. დადგენილება — სკპ (ბ) მე-18 ყრილობის სახ. სოცშეჯიბრების რესპუბლიკური კომიტეტისა 18

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ—1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3228

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 22 ივლისს

გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

აღინიშნოს, რომ გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში 1939/40 სასწავლო წელს თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული: საგრძნობლად გაძლიერებულია ინსტიტუტის სასწავლო მატერიალური ბაზა (აშენდა სასწავლო შენობა, მთავრდება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, შექმნილია 9-სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორია სათანადო მოწყობილობით და ლიტერატურით, თვალსაჩინოდ გამდიდრებულია ბიბლიოთეკა; საგნების უმრავლესობაში ნორმალურად მაღლდება სტუდენტთა აკადემიური მომზადების დონე, ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობაა ჩატარებული პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის, დაწესებულია ხელმძღვანელობა და კონტროლი სასწავლო- საალმზრდელო და სამეცნიერო მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაზრდის უზრუნველსაყოფად და სხვ.

ამავე დროს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს თავის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში არსებითი და მნიშვნელოვანი ხასიათის ნაკლულოვანებანიც გააჩნია:

1. ჯერ კიდევ დაბალია ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური მომზადების დონე: ინსტიტუტის 9 მუშაკიდან არის მხოლოდ 1 პროფესორი-დოქტორი, 7 დოცენტი, 9 მეცნიერების კანდიდატი, ხოლო 24 ლექტორს არა აქვს მიღებული სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება.

2. ინსტიტუტი არ არის უზრუნველყოფილი ადგილობრივად მომუშავე ძირითადი კადრებით; ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (ამხ. სილ. ცხაკაია) თბილისიდან დადის. საერთოდ, 40 პედაგოგიდან 22 კაცი ჩამომსვლელია. 7 კათედრის გამგიდან ადგილობრივად მხოლოდ 4 მუშაობს. ჩამომსვლელ ლექტორთა სამგზავრო და სასტუმროს ხარჯები ყოველწლიურად 60.000 მანეთს აღემატება.

3. ინსტიტუტს არ გააჩნია საცხოვრებელი ბინა პროფესორ-მასწავლებელთათვის. ინსტიტუტში სამუშაოდ გადმოყვნილი 9 მუშაკი მოთავსებულია კერძოდ დაქირავებულ ბინებში, რაც სახელმწიფოს ყოველწლიურად 14.400 მანეთი უჯდება.

4. ინსტიტუტის დირექციისა, დეკანებისა და კათედრის გამგეთა არასაკმარისი ყურადღებისა და კონტროლის გამო ზოგიერთ სასწავლო დისციპლინებში მთლიანად და სრულად არარის შესრულებული სასწავლო გეგმა. სსრკ ისტორიაში (ლექ. ტრ. ხუნდაძე) ისტორიის ფაკულტეტის პირველსა და მეორე კურსზე ჩამორჩენა უდრის 56 საათს. ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში (ლექ. ნ. მათიაშვილი), ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართული სექტორის პირველ კურსზე, ნაცვლად 60 საათისა, წაკითხული იქნა მხოლოდ 6 საათი, ხოლო ამავე ფაკულტეტის რუსულ სექტორზე აღნიშნული საგანი სულ არ წაკითხულა.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსებზე სასწავლო გეგმის შეს-

რულებას ფიზიკაში (ლექტორები მ. კუკავაძე და გ. ჩიტაია) აკლია 57 საათი.

5. ზოგიერთი ლექტორი (გ. ჩაჩანიძე, ვ. ჩიტაია, ტ. ხუნდაძე, ს. მაკალათია, ი. ვართაგავა და სხვ.) ზედმეტად არიან გადატვირთული სასწავლო მუშაობით სხვადასხვა უმაღლეს სკოლებში, რის გამოც ისინი ნაკლებ დროს ანდომებენ გორის პედ. ინსტიტუტში მუშაობას, რაც იწვევს ჯგუფებია გადატვირთვას ყოველდღიურად ერთიდაიგივე საგნებით დღეში ზედიზედ ოთხ-ოთხი აკადემიური საათის რაოდენობით, რითაც მახინჯდება სასწავლო პედაგოგიური პროცესი ინსტიტუტში.

6. ფაკულტეტების დეკანები და კათედრათა გამგეები არასაკმარისად ხელმძღვანელობენ ინსტიტუტში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის უკეთ დაყენების საქმეს. სისტემატურად არ ესწრებიან ისინი პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებს, კონსულტაციებს და გამოცდებს და ნაკლებად აწარმოებენ მიღებულ შედეგების განზოგადოებასა და გამოცდილებათა გაზიარებას. არ ამოწმებენ კათედრის წევრთა სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობას და არ უწევენ მათ ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

7. ინსტიტუტის დირექცია ჯერ კიდევ არასაკმარის ყურადღებას აქცევს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ხარისხის გაზრდის კონკრეტულ საკითხებს. სისტემატურად არ ამოწმებს ლექციების ხარისხს და კათედრათა სამეცნიერო მუშაობის გეგმას დროულად შესრულების საქმეს.

8. არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. პროფესორ-მასწავლებელთა საგრძნობ ნაწილს გასული სასწავლო წლის განმავლობაში არავითარი სამეცნიერო პროდუქცია არ მიუცია ინსტიტუტისათვის. ფიზიკის კათედრას (გამგე დოც. მ. კუკავაძე), სრულიად არ უწარმოებია სამეცნიერო მუშაობა. ისტორიის კათედრის წევრი გ. ჩაჩანიძე 1938 წლიდან 1940 წლის ივნისამდე ამუშავებს თემას „1680 წლის აჯანყება ეგვიპტეში" და დღესაც არა აქვს იგი წარმოდგენილი და სხვა.

ზემოაღნიშნულისა გამო ვბრძანებ:

1. დაევალოს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციას:

ა) სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით დააწესოს სისტემატური კონტროლი პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებსა, კონსულტაციებსა და გამოცდებზე და უზრუნველჰყოს შემჩნეული დეფექტების დროულად გამოსწორება და მიღებულ გამოცდილებათა განზოგადება და გავრცელება ინსტიტუტის დანარჩენ მუშაკთა შორის;

ბ) არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას დამტკიცებული სასწავლო გეგმის დარღვევის შემთხვევები და მთლიანად უზრუნველჰყოს მათი დროულად შესრულება;

გ) განახორციელოს ოპერატიული ხელმძღვანელობა კათედრათა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაზე და მიიღოს კონკრეტული ღონისძიებანი სამეცნიერო მუშაობის გეგმაში გათვალისწინებული თემების ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულების უზრუნველსაყოფად;

დ) მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოუჩინოს ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებს მათი სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

ე) ა/წ 1-ლ სექტემბრამდე მოიყვანოს სრულ წესრიგში ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პირადი საქმეები ყველა საჭირო დოკუმენტებით;

ვ) უკეთ უხელმძღვანელოს ფაკულტეტის დეკანებს თავიანთ მუშაობაში და უზრუნველჰყოს მათს მუშაობაში ეგემიანობის დანერგვა;

ზ) აღკვეთოს ლექტორ-მასწავლებელთა დანიშვნა განსახკომთან შეთანხმების გარეშე.

2. ფაკულტეტის დეკანებმა და კათედრათა გამგეებმა კონკრეტული ხელმძღვანელობა და ყოველდღიური დახმარება გაუწიონ პროფესორ-ლექტორთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის უკეთ დაყენების საქმეს ინსტიტუტში. ამ მიზნით სისტემატურად დაეწროონ ლექციებსა და კონსულტაციებ-გამოცდებს, პერიოდულად მოისმინონ ინფორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციები პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და მიიღონ ზომები ამ მუშაობის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად.

3. დაევალოს უმაღლეს სკოლის სამმართველოს:

ა) ა/წ 10—აგვისტომდე გადასინჯოს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შტატის გასულ სასწავლო წლის შემადგენლობა და ახალი კვალიფიციური ძალების ადგილობრივად მუდმივ ძირითად სამუშაოზე გამოყენებით მთლიანად დააკომპლექტოს იგი სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საქმეთა საკ. კომიტეტის მიერ 1940/41 სასწავლო წლისათვის დამტკიცებულ შტატების მიხედვით;

ბ) ორი კვირის განმავლობაში შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატი ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე დასანიშნავად.

4. ა/წ 1-ლ სექტემბრიდან ჩამოყალიბდეს ინსტიტუტთან ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი.

5. 1940/41 სასწავლო წლის განმავლობაში ჩამოყალიბდეს ექსტერნატი ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებთან.

6. იმის გამო, რომ ინსტიტუტის ზოგიერთმა მსხვილმა კათედრებმა ვერ უზრუნველყვეს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გაშლა პედაგოგიური ინსტიტუტის მოთხოვნილებათა შესაბამისად მიზანშეწონილად ჩაითვალოს ა/წ 1-ლ სექტემბრიდან:

ა) ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტთან ბიოლოგიის და ქიმიის კათედრის ჩამოყალიბება;

ბ) მათემატიკის გაერთიანებული კათედრის მათემატიკური ანალიზისა და გეომეტრიის ორ დამოუკიდებელ კათედრად;

გ) ისტორიის კათედრის სსრკ ისტორიის და მსოფლიო ისტორიის კათედრებად გაყოფა.

7. აღიძრას შუამდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე გორის პედ. ინსტიტუტისათვის პერიოდული სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოცემის უფლების მინიჭებისა და მისთვის საჭირო ქაღალდის ფონდის გამოყოფის შესახებ.

8. დაევალოს გორის პედ. ინსტიტუტის დირექტორს ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად ინსტიტუტის სასწავლო კორპუსის რემონტის ხარჯთაღრიცხვა ინსტიტუტის 1940 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ 90 ათასი მანეთის რაოდენობით.

9. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს, გაითვალისწინოს 1941 წლის მშენებლობათა გეგმაში პროფესორ-მასწავლებელთა 20 ბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება 500 ათასი მანეთის საერთო ღირებულებით გორის პედინსტიტუტისათვის.

საფუძველი—საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წ. 17 ივლისის დადგენილება.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ბრძანება № 5351

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წ. 28 სექტემბერი

ვანიჭებ რა დიდ მნიშვნელობას მასწავლებელთა და მშრომელთა მასებისათვის გაცნობას პედაგოგ მაკარენკოს წერილების —„მშობელთა ავტორიტეტის შესახებ“ და „შრომაში აღზრდა“, ვბრძანებ:

1. პედაგოგ მაკარენკოს წერილები — „მშობელთა ავტორიტეტის შესახებ“ და „შრომაში აღზრდა“ ითარგმნოს და გამოქვეყნდეს ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ მე-9 ნომერში.

2. დაევალოს განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური კაბინეტის გამგეებს, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, მოზრდილთა სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორებს (გამგეებს) ფართოდ განიხილონ აღნიშნული წერილები პედაგოგიური საბჭოების, პედკაბინეტების, მასწავლებელთა საუბნო მეთოდგაერთიანებების და მშობელთა კომიტეტების სხდომებზე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ წერილების მშობელთა ფართო მასებისათვის გაცნობის მიზნით.

3. ჟურნალ „კომუნისტური აღზრდის" რედაქციამ უმოკლეს ხანში უზრუნველყოს მაკარენკოს რჩეული ნაწერების კრებულის გამოცემა

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი
ბ. კიკნაძე

ბრძანება № 4370

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლ. 26 აგვისტოს

მასწავლებელთა ატესტაციის შესახებ.

აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა ატესტაცია საქართველოს სსრ დამთავრებულია. რესპუბლიკაში ამჟამად მომუშავე მასწავლებელთა შემადგენლობიდან ატესტაციაში გატარებულია 24094 მასწავლებელი.

ატესტაციაში გატარებულ მასწავლებლებიდან: 1. მიენიჭა მასწავლებლის პერსონალური წოდება: ა) დაწყებითი სკოლის 1328ს მასწავლებელს, ბ). საშუალო სკოლის პირველ შვიდკლასში სწავლების უფლებით — 3313 მასწავლებელს და გ) საშუალო სკოლის—3792 მასწავლებელს; 2. დატოვებულია გამოცდების ჩაბარების პირობით: 1) პედსასწავლებლის კურსის მოცულობით—1759 მასწავლებელი, 2) სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსის მოცულობით—1276 — მასწავლებელი და 3) პედინსტიტუტის კურსის მოცულობით—695 მასწავლებელი.

ატესტაციაში გაუტარებელ 3903 მასწავლებლიდან: ა) წითელ არმიაში გაწვეულ მასწავლებელთა შემცვლელად პედპრაქტიკის წესით დაშვებულია 2638 მასწავლებელი ბ) 967 — მასწავლებელს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლები აქვთ დამთავრებული, რომელთაც წოდება მიენიჭებათ მას შემდეგ, როცა რაიონებიდან საჭირო მასალებს წარმოადგენენ და გ) არ გატარებულა ატესტაციაში ავადმყოფობისა და საჭირო საბუთების წარმოუდგენლობის გამო 298 მასწავლებელი.

განსახკომის საატესტაციო ჯგუფში საატესტაციო მეურნეობა მოწესრიგებულია.

მიუხედავად ამისა რესპუბლიკის მასწავლებელთა ატესტაციის საქმეში არის დეფექტები:

1. არ არის გატარებული ატესტაციაში 298 მასწავლებელი საჭირო საბუთების უქონლობისა და ავადმყოფობის გამო.

2. არ აქვთ დანიშნულ დროზე შესრულებული განსახკომის ბრძანება და საატესტაციო კომისიის დადგენილება გამოცდების ჩაბარების შესახებ: 1. პედსასწავლებლების კურსის მოცულობით: ა) პედმინიმუმის — 1276 მასწავლებელს და ბ) სრულიკურსის 283 მასწავლებელს, 2. სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსის მოცულობით: ა) პედმინიმუმის—97 და ბ) სრული კურსის—1152 მასწავლებელს და 3. პედინსტიტუტის კურსის მოცულობით: ა) პედმინიმუმის—124 და სრული კურსის—571 მასწავლებელს.

3. ზოგიერთ მასწავლებელს ჩაბარებული აქვს დავალებული გამოცდები, მაგრამ ზოგიერთი განათლების განყოფილებათა დაუდევრობისა და საქმისადმი უგულოდ მოპყრო-

ბის გამო (ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის და ახალციხის) არა აქვთ მათ შესახებ წარმოდგენილი საჭირო ცნობები გასაფორმებლად და წოდების მისანიჭებლად.

4. ადგილზე გამორკვევამ აღმოაჩინა, რომ განათლების განყოფილებათა უმეტეს ნაწილს (ადიგენის, ახალქალაქის, სიღნაღის, ბორჯომის, თბილისის და სხვების) არა აქვთ შესრულებული განსახკომის 1939 წლის 31-დეკემბრის ბრძანება №—7601 „საატესტაციო მასალების წესრიგში მოყვანის შესახებ".

აქედან გამომდინარე ვბრძანებ:

1. მასწავლებელთა ატესტაცია რესპუბლიკაში დამთავრებულად ჩაითვალოს.

2. განსახკომთან არსებული მასწავლებელთა საატესტაციო ჯგუფი 1940 წ. 1-ლ სექტემბრიდან გაუქმებულ იქნას და საატესტატაციო ჯგუფის მთელი საქმეები გადაეცეს განსახკომის საარქივო განყოფილებას. ჩააბაროს ამხ. ჩიმაკაძემ და მიიღოს ამხ. ვ. ბახტაძემ საქმეთა მმართველის შ. ბაღდავაძის თანდასწრებით.

3. იმ მასწავლებლებს, რომელნიც დატოვებული არიან მასწავლებლად გამოცდების ჩაბარების პირობით, დაევალოს მიმდინარე 1940 წლის 31—დეკემბრამდე ჩააბარონ საკალდებულო გამოცდები.

4. დაევალოს საშუალო და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლების დირექტორებს, ხელი შეუწყონ გამოცდადავალებულ მასწავლებლებს და გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოწმობაში აღნიშნონ მინიჭება საათანადო სკოლის მასწავლებლის წოდებისა.

5. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიურ სსრ განათლების სახ. კომისრებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ საოლქო, საქალაქო და საარაიონო განათლების განყოფილების გამგეებს; ა) მათი პირადი პასუხისმგებლობით აიყვანონ აღრიცხვაზე რაიონის ყველა ის მასწავლებელი, რომელთაც ატესტაციის შედეგად დავალებული აქვთ გამოცდების ჩაბარება, ხელი შეუწყონ და თვალყური ადევნონ, რომ გამოცდები ჩააბარონ 1940 წ. 31—დეკემბრამდე, ხოლო ვინც ამ დროის განმავლობაში არ ჩააბარებს, წარმოადგინონ განსახკომში მათი ზუსტი სია, მასწავლებლობიდან განთავისუფლების მიზნით.

ბ) დაუყოვნებლივ წარმოადგინონ სიები, დახასიათებები და პირადი ბარათები ყველა იმ პედაგოგიური განათლების (საშუალო და უმაღლესი) მქონე მასწავლებლებისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ სწავლა 1940 წლამდე და მასწავლებლის პერსონალური წოდება არა აქვთ ჯერ მიღებული.

გ) ზუსტად შეასრულონ განსახკომის 1939 წლის 31—დეკემბრის ბრძანება №—7601 და განსახკომის 1940 წლის 24-იანვრის №—53 საინსტრუქციო წერილი მასწავლებელთა საატესტაციო მეურნეობის მოწესრიგების შესახებ.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

ბ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4816

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 5 სექტემბერს

პოლიტგანმუშაკთა დაუსწრებელი სწავლების კომბინატის რეორგანიზაციის შესახებ.

სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და სოფლის პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ვბრძანებ:

1. რეორგანიზებულ იქნას ა/წ 1/IX-დან

პოლიტგანმუშაკთა დაუსწრებელი სწავლების კომბინატი პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების კომბინატად, რომლის გამგებლობაში შევიდეს:

ა) ხელმძღვანელობა პოლიტგანმუშაკთა ერთიან სემინარებზე, ანტირელიგიურ დაუსწრებელი სწავლებისა და საკურსო ღონისძიებებზე;

ბ) მეთოდური დახმარება პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლებზე;

გ) სახელმძღვანელოებისა და მეთოდლიტერატურის გამოცემა.

2. რაიონებში არსებულ პოლიტგანმუშაკთა დაუსწრებელი სწავლების კურსების ბაზაზე დაწესდეს სოფლის პოლიტგანმუშაკთა ერთიანი სისტემა სემინარებისა, რომელიც უნდა ტარდებოდეს ყოველ ორ თვეში ერთხელ.

3. ერთიანი სემინარების ჩატარებაზე უშუალო ხელმძღვანელობა და მისი ხარისხიანი მუშაობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, საქ. სსრ ყველა საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს.

4. ლექტორთა და რწმუნებულთა-ხელმძღვანელთა და პოლიტგანმუშაკთა სემინარების ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები გაღებულ იქნას ადგილობრივი ბიუჯეტის იმ სახსრებიდან, რომლებიც პოლიტგანმუშაკთა დაუსწრებელი სწავლებისათვის არის გამოყოფილი.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ, საქართველოს სსრ ყველა საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ სემინარულ მუშაობაში პოლიტგანდაწესებულების (კლუბების, ქოხ-სამკითხველოების) მუშაკთა ჩაბმა და ა/წ 25/IX-მდე წარმოადგინონ განსახკომში მათი სახელობითი სია.

6. დამტკიცდეს წარმოდგენილი დებულება: „სოფლის პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რაიონული სემინარებისა".

საქ. განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

„ვამტკიცებ"
საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**
1940 წ. 10/IX

დებულება

სოფლის პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რაიონული სემინარებისა.

საქ. განსახკომის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველო დაუსწრებელი კურსების ბაზაზე აწესებს სოფლის პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მიმდინარე ოპერატიული ინსტრუქტაჟის ერთიან სისტემას.

პოლიტგანმუშაკებისაგან თითოეულ რაიონში ორ თვეში ერთხელ ტარდება სემინარი.

სემინარებზე ტარდება ლექციები, მოხსენებები, საუბრები მიმდინარე პოლიტიკისა და აგროზოოტექნიკის საკითხებზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და აგრეთვე კონსულტაციები პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სწავლების კომბინატის შემდეგი ლექციების (განაკვეთების) გარშემო:

1. „პოლიტგანმუშაობა ველად".
2. „საცნობო მუშაობა საკლუბო დაწესებულებებში."
3. „ანტირელიგიური პროპაგანდა".
4. „მხატვრული თვითმოქმედება სოფლის პოლიტგანდაწესებულებებში".
5. „თავდაცვითი მუშაობა სოფლის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში";
6. „სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა".

7. „პედაგოგიური პროპაგანდა“.

8. „სააგიტაციო-ახსნა-განმარტებითი მუშაობა საკლუბო დაწესებულებაში“.

9. „წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა“.

10. „მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ“.

11. „კედლის გაზეთი“.

რაიონული სემინარი ეხმარება პოლიტგანმუშაკებს პოლიტიკური დონისა და საერთოდ კვალიფიკაციის ამაღლებაში, აცნობს მათ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს, უწევს ინსტრუქტაჟს ქოხ-სამკითხველოებს, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბების მუშაობას მიმდინარე საკითხებზე და აგრეთვე რესპუბლიკისა და რაიონების პოლიტგანმუშაობის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით ხელს უწყობს პოლიტგანდაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებას.

რაიონული სემინარის გეგმა

1. თითოეული სემინარის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 დღით—დღეში 8 საათი, სულ—16 საათი.

2. სემინარი ტარდება შემდეგი გეგმის მიხედვით:

ა) მოხსენება მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე 2 (მოხსენების თემას განსაზღვრავს საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტი).

ბ) ლექციები აგროზოოტექნიკიდან 3

გ) კონსულტაციები კომბინატიდან მიღებული ლექციების (განაკვეთების) გარშემო და შესასწავლი თემებთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება 7.

დ) პოლიტგანმუშაკთა ინსტრუქტაჟი საკლუბო დაწესებულებების მუშაობის მიმდინარე საკითხებზე 2.

ვ) ლექციები ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2.

ლექცია-საუბრებს აგროზოოტექნიკის საკითხებზე ატარებენ აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები ან სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, რომლებსაც გამოჰყოფენ რაიონის მიწათმოქმედების განყოფილებები რაიონის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით.

ინსტრუქტაჟს ატარებს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ან ინსპექტორი პოლიტგანმუშაობის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კომბინატი თითოეული სემინარისათვის აგზავნის ლექციებს, მეთოდურ წერილებს, კონსულტაციებისათვის და სემინარის სასწავლო გეგმებს. პოლიტგანმუშაკები დამოუკიდებლად სწავლობენ ლექციებს, რისთვისაც შემუშავებული კალენდარული გეგმის მიხედვით მეცადინეობენ დღეში საშუალოდ ერთ საათს, ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს და აგროვებენ მასალას საკლუბო დაწესებულებების მუშაობაზე. სემინარებზე მსმენელებს მეთოდურ დახმარებას უწევენ სასწავლო მასალის შეთვისებაში, განუმარტავენ ლექციების შესწავლის პროცესში წამოჭრილ საკითხებს, ამოწმებენ დავალებათა შესრულებას და სხვა.

სემინარების ჩატარების წესი

1. სემინარებზე ცხადდება ყველა პოლიტგანმუშაკი: თავიანთი მუშაობის გეგმებით, დღიურებით, მათ მიერ გამოცემული საუკეთესო კედლის გაზეთის ნომრებით, გამოფენის გეგმითა და სხვა მასალებით, რომლებიც ახასიათებს საკლუბო დაწესებულებების საქმიანობას მოცემულ პერიოდში.

2. რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვალდებულია 10 დღით ადრე შეატყობინოს პოლიტგანმუშაკებს მომავალი სემინარისა და მისი გეგმის შესახებ და დაუგზავნოს დაუსწრებლებს კომბინატის მიერ გადაგზავნილი ლიტერატურა.

კულტურის რაიონული სახლი აწყობს გამოფენას, ამზადებს ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს და სხვადასხვა თვალსაჩინო ხელსაწყოებს.

რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ან პოლიტგანინსპექტორი უთანხმდება საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის მომხსენებლებისა და კონსულტანტების გამოყოფის შესახებ.

3. სემინარების ჩატარებისათვის პასუხისმგებელია რაიონის განათლების განყოფილების გამგე. სემინარის მომზადებისა და

ჩატარების უშუალო ორგანიზატორია და სწავლების რწმუნებული (პოლიტგანინსპექტორი).

4. რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამოწმებს, თუ როგორ ემზადებიან პოლიტგანმუშაკები სემინარისათვის, ამისათვის ის ვალდებულია გაემგზავროს სოფლის საბჭოებში, დაეხმაროს პოლიტგანმუშაკებს, მისცეს მათ სათანადო ახსნაგანმარტებები და ამასთან ერთად გამოავლინოს მუშაობის საუკეთესო გამოცდილება მისი დემონსტრირებისათვის რაიონულ სემინარებზე.

5. ინსპექტორი სემინარების მუშაობის აღრიცხვას აწარმოებს პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების კომბინატის მიერ დამუშავებული ფორმის მიხედვით.

6. დ/სწავლების რწმუნებული (პოლიტგანინსპექტორი) ოპარეტიულ ხელმძღვანელობას უწევს სოფლის პოლიტგანმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის წარმოებულ მუშაობას, აწარმოებს აღრიცხვას და სისტემატურად აწოდებს ინფორმაციას კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების კომბინატს სემინარების მიმდინარეობაზე.

7. კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების კომბინატის მიერ გადაგზავნილი ლექციები და ბროშურები შეიტანება საკლუბო დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკების საინვენტარო წიგნში.

„ვამტკიცებ"
საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**
1940 წ. 12/IX

დებულება

მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმისა

1. საერთო დებულებანი:

1. მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმი არის სამეცნიერო-კვლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საგნების, დოკუმენტებისა და მხატვრული ნიმუშების ჩვენებით სახავს მხარის ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესს.

2. მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმი არსდება ავტ. სს რესპუბლიკის (ავტ. ოლქის) ცენტრში ადგილობრივი ორგანოების (ავტონ. სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, ავტ. ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის) გადაწყვეტილებით და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობის საფუძველზე.

ამავე წესით ხდება მუზეუმის ლიკვიდაცია.

3. მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმი იმყოფება საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის სისტემაში და უშუალოდ ექვემდებარება ავტონ. სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატს (ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილებას), რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც აწარმოებს თავის მუშაობას.

II. მუზეუმის მიზნები და ამოცანები

4. მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმის ამოცანებს შეადგენს:

ა) მხარის ბუნების, საწარმოო ძალების, მისი ისტორიული წარსულისა და ეთნოგრაფიის, კლასთა ბრძოლის ისტორიისა და სოციალისტური მშენებლობის შესწავლა;

ბ) შესაფერისად გაფორმებული გამოფენების მეშვეობით მშრომელთა ფართო მასებისათვის მხარის შესახებ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების გაცნობა და ამის მეოხებით აქტიური დახმარების გაწევა მხარის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმისათვის;

გ) ფართო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მეშვეობით მშრომელთა მასებისათვის მხარის ბუნების, საწარმოო ძა-

ლების, სოციალისტური მშენებლობის გაცნობა აგრეთვე სკოლების სასწავლო მუშაობისათვის დახმარების გაწევა მუზეუმის მასალებით.

5. ზემოაღნიშნული ამოცანების შესაბამისად მუზეუმი ანხორციელებს შემდეგს ღონისძიებებს:

ა) სისტემატურად აგროვებს და ინახავს სამეცნიერო კოლექციებს, მხარის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და სოციალისტური მშენებლობის ამსახველ მასალებს, რომლებსაც იძენს სახელმწიფო დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, აგრეთვე სხვა მუზეუმებთან მასალის გაცვლის მეშვეობით;

ბ) სამეცნიერო მუშაობისა და სამხარეთმცოდნეო მასალის შეგროვების მიზნით, დამტკიცებული გეგმის მიხედვით, აწყობს დამოუკიდებლად ექსპედიციებსა და ექსკურსიებს, აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვა მუზეუმების, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ექსპედიციებსა და ექსკურსიებში და ეხმარება სათანადო ორგანოებს შეგროვილი მასალების დამუშავებისა და დაცვის საქმეში;

გ) ავტონ. სს რესპუბლიკის (ავტონ. ოლქის) ფარგლებში აწარმოებს მხარის ბუნების, ყოფაცხოვრების, ხელოვნებისა და რევოლუციური ბრძოლის ძეგლების აღრიცხვას, რეგისტრაციასა და დაცვას მუზეუმის გეგმისა და თემატიკის შესაბამისად;

დ) აწყობს სამუზეუმო მასალის მუდმივს, დროებითსა და მოძრავ გამოფენებს;

ვ) პერიოდულად აწყობს ლექციებს, მოხსენებებსა და მოძრავ გამოფენებს თავისი მუშაობის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე სამუზეუმო მასალის ცალკეულ თემებზე, როგორც ავტონ. სს რესპუბლიკის (ავტ. ოლქის) ცენტრში, ისე აგრეთვე რაიონებსა და სოფლებში, საკლუბო დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში;

ვ) იმ სპეციალური საკითხების შესასწავლად, რომლებიც მუზეუმის ამოცანებიდან და გეგმიდან გამომდინარეობენ, მიავლენს მუზეუმის თანამშრომლებს ავტონ. სს რესპუბლიკაში (ავტ. ოლქში) და აგრეთვე, საქართველოს სს რესპუბლიკის განსახორციელების ნებართვით, საქართველოს სს რესპუბლიკის სხვა ავტ. სს რესპუბლიკასა, ოლქებსა და რაიონებში, აგრეთვე სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებში;

ზ) მეცნიერული თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და კოლექციების გაცვლის მიზნით ამყარებს ურთიერთობას, როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებთან და საქართველოს სსრ სხვა მუზეუმებთან, ისე სათანადო სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებთან;

თ) მუზეუმის ექსპონატების და აგრეთვე ისტორიული ადგილებისა და სხვა ობიექტების დასათვალიერებლად ორგანიზებული ექსკურსიების ჩატარების მიზნით ამყარებს კავშირს და ურთიერთობას ადგილობრივ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სკოლებთან;

ი) აწყობს მეცნიერულ თათბირებსა და კონფერენციებს თავისი მუშაობის გეგმისა და თემატიკის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვა დაწესებულებათა მიერ მოწვეულ მეცნიერულ კონფერენციებზე, რომლებიც მუზეუმის მუშაობის საკითხებთან არიან დაკავშირებული;

კ) თავისი მასალებით და ლექცია-საუბრების მოწყობით ეხმარება ადგილობრივი სკოლებს გეოგრაფიის და ისტორიის სწავლებაში თვალსაჩინოების გაძლიერებისა და მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების საქმეში;

ლ) თავისი მასალებითა და მეთოდური მითითებებით ეხმარება ადგილობრივ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მათ მიერ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო და სხვა თემებზე ლექციებისა და მოხსენებების, აგრეთვე გამოფენების მოწყობაში;

მ) აგროვებს, იძენს და ინახავს მუზეუმის მეცნიერულ მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოკუმენტებს.

6. სამხარეთმცოდნეო მასალებისა და მეცნიერული კოლექციების, აგრეთვე მხარის

ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხების პოპულარიზაციის მიზნით მუზეუმი დამტკიცებული გეგმის მიხედვით დაამუშავებს გამოსაცემად თავის მეცნიერულ შრომებს, კატალოგებს, მეგზურებსა და ცნობარებს.

III. მუზეუმის სტრუქტურა და შტატი.

7. მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმს აქვს შემდეგი ძირითადი განყოფილებები:

ა) შესავალი განყოფილება;

ბ) ბუნებისმეტყველების განყოფილება;

გ) ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება.

დ) სოციალისტური მშენებლობის განყოფილება.

8. გარდა ძირითადი განყოფილებებისა, მუზეუმი აწყობს ცალკეულ გამოფენებს ღირსშესანიშნავ სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებზე, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, არქეოლოგიის, ხელნაწერთა, ნუმიზმატიკის, ხელოვნების, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკისა და სხვა ქვეგანყოფილებებს (კაბინეტებს).

9. მუზეუმის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი ავტონ. სს რესპუბლიკის განსახკომის (ავტონ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილების) წარდგენით, დამტკიცებული სტრუქტურის შეცვლა ან ქვეგანყოფილებების (კაბინეტების) დაარსება არ შეიძლება საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის ნებართვის გარეშე.

10. თავისი ამოცანების შესაბამისად მუზეუმი აწყობს სხვადასხვა დამხმარე დაწესებულებებს, როგორიცაა: ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, არქივი და ფოტოტეკა, სარესტავრაციო და სამულაჟო სახელოსნოები, ფოტოლაბორატორია.

11. თავისი ამოცანების განხორციელების მიზნით მუზეუმი ქმნის ადგილებზე მოხალისე მხარეთმცოდნეთა აქტივს და ამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს, როგორც მუზეუმის თანამშრომელ—კორესპონდენტებთან.

12. მუზეუმის შტატს ამტკიცებს ავტონომიურ სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი, ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილება საერთო წესის თანახმად და მუზეუმის მუშაობის მოცულობის შესაბამისად.

IV. მუზეუმის მმართველობა

13. მუზეუმს სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ანთავისუფლებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი ავტონ. სსრ რესპუბლიკის განსახკომის, ავტონ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილების წარდგენით.

მუზეუმის დირექტორს უნდა ჰქონდეს სპეციალური ან საერთო უმაღლესი განათლება.

დირექტორი პასუხისმგებელია მუზეუმის მთელ სამეცნიერო, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ფინანსიური მუშაობისათვის.

დირექტორი ასრულებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის და ავტ. სს რესპუბლიკის განსახკომის (ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილების) განკარგულებებს.

14. მუზეუმის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) მუზეუმის მთელი სამეცნიერო ადმინისტრაციულ—სამეურნეო და ფინანსიურ მუშაობაში უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა და მუზეუმის წარმომადგენლობა სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ბ) საჭირო ღონისძიებათა გატარება მუზეუმის ამოცანების განსახორციელებლად და მისი სამუშაო გეგმების შესასრულებლად, აგრეთვე მუზეუმის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

15. მუზეუმის წლიურ სამუშაო გეგმას და ანგარიშებს ამტკიცებს ავტონ. სს რესპუბლიკის სახკომი (ავტონომიური ოლქის განათლების საოლქო განყოფილება), ხოლო კვარტალურ გეგმებს—კი მუზეუმის დირექტორი.

16. მუზეუმის განყოფილებათა გამგეებს და მეცნიერ მუშაკებს ნიშნავს და ანთავისუფლებს ავტონ. სს რესპუბლიკის განსახ-

კომი (ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილება) მუზეუმის დირექტორის წარდგენით.

მუზეუმის დანარჩენი ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური მუშაკების მიღებას, დანიშვნასა და დათხოვნას აწარმოებს მუზეუმის დირექტორი.

17. მუზეუმის განყოფილების გამგე არის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და საექსპოზიციო მუშაობის ხელმძღვანელი თავისი განყოფილების ხაზით.

განყოფილების გამგე პასუხისმგებელია განყოფილების მთელი ქონების დაცვისათვის, მისი სამეცნიერო კოლექტივების და სამუზეუმო მასალების რეგისტრაციისა, მეცნიერულად აღწერისა და გამოსაყენებლად განლაგებისათვის.

18. მუზეუმის ერთერთი განყოფილების გამგე ითვლება მუზეუმის სწავლულ მდივნად.

19. მუზეუმის მთელს მუშაობას აწარმოებს მუზეუმის შტატით დამტკიცებული მეცნიერ და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მუშაკთა შემადგენლობა.

V. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

20. მუზეუმის დირექტორთან სათათბირო ორგანოს სახით არსებობს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

21. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) მუზეუმის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) მუზეუმის განყოფილებათა გამგეები;

გ) მუზეუმის მეცნიერი მუშაკები;

დ) ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

22. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ავტონ. სს რესპუბლიკის განსახკომი (ავტონ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილება).

23. სამეცნიერო საბჭო იკრიბება არა ნაკლებ ერთხელ თვეში და განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) მუზეუმისა და მისი განყოფილებების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საკითხს;

ბ) მუზეუმისა და ცალკეულ განყოფილებათა წლიურსა და კვარტალურ გეგმებსა და ანგარიშებს;

გ) მუზეუმის განყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა ორგანიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხებს;

დ) სამუზეუმო ექსპოზიციისა და ეპიზოდურ გამოფენათა თემატიკას და განლაგების პროექტებს;

ე) მუზეუმის ამოცანებიდან და სამუშაო გეგმიდან გამომდინარე ძირითად საკითხებს და მათი შესრულების ღონისძიებებს;

ვ) იძლევა მითითებებს მუზეუმის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმართვის შესახებ.

24. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებას ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი და აფორმებს ბრძანების სახით.

VI. მუზეუმის მატერიალური ბაზა

25. მუზეუმი იმყოფება ავტონ. სს რესპუბლიკის (ავტონ. ოლქის) ბიუჯეტზე.

26. მუზეუმის ბიუჯეტი შესდგება:

ა) ავტონ. სს რესპუბლიკის განსახკომის (ავტ. ოლქის) განათლების საოლქო განყოფილების ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებისაგან;

ბ) სპეციალური სახსრებისაგან (გამოფენის და სხვა შემოსავალი).

27. დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე სდგება მუზეუმის ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს ავტონ. სს რესპუბლიკის განსახკომი (ავტონ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილება).

28. კრედიტების განმკარგულებელი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში არის მუზეუმის დირექტორი.

29. მუზეუმი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

30. მუზეუმს აქვს საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომის მიერ დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი და შტამპი და საბიუჯეტო და მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში.

„ვამტკიცებ"
საქ. სსრ განათლების სახ. კომი-
სარი გ. კიკნაძე
10/IX—40 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულება

მხარეთმცოდნეობის სარაიონო მუზეუმისა.

I. საერთო დებულებანი

1. მხარეთმცოდნეობის სარაიონო მუზეუმი არის სამეცნიერო კვლევითი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საგნების, დოკუმენტებისა და მხატვრული ნიმუშების ჩვენებით ასახავს მხარის ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესს.

2. მხარეთმცოდნეობის სარაიონო მუზეუმი არსდება რაიონის ცენტრში ადგილობრივი ორგანოების (მშრომელთა დეპუტატების სარაიონო ან საქალაქო საბჭოს) გადაწყვეტილებით და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით განათლების სახკომისარიატის შუამდგომლობის საფუძველზე.

ამავე წესით ხდება მუზეუმის ლიკვიდაცია.

3. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იმყოფება საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის სისტემაში და უშუალოდ ექვემდებარება განათლების ადგილობრივ სარაიონო ან საქალაქო განყოფილებას, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც აწარმოებს თავის მუშაობას.

II. მუზეუმის მიზნები და ამოცანები.

4. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ამოცანებს შეადგენს:

ა) მხარის ბუნების, საწარმოო ძალების, მისი ისტორიული წარსულისა და ეთნოგრაფიის, კლასთა ბრძოლის ისტორიისა და სოციალისტური მშენებლობის შესწავლა;

ბ) შესაფერისად გაფორმებული გამოფენის მეშვეობით მშრომელთა ფართო მასებისათვის მხარის შესახებ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგების გაცნობა და ამის მეოხებით აქტიური დახმარების გაწევა მხარის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმისათვის;

გ) ფართო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მეშვეობით მშრომელთა მასებისათვის მხარის ბუნების, საწარმოო ძალების, სოციალისტური მშენებლობის გაცნობა, აგრეთვე სკოლებში სასწავლო მუშაობისათვის დახმარების გაწევა მუზეუმის მასალებით.

5. ზემოდაღნიშნული ამოცანების შესაბამისად მუზეუმი ანხორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) სისტემატურად აგროვებს და ინახავს სამეცნიერო კოლექციებს ,მხარის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და სოციალისტური მშენებლობის ამსახველ მასალებს, რომლებსაც იძენს სახელმწიფო დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, აგრეთვე სხვა მუზეუმებთან მასალის გაცვლის მეშვეობით;

ბ) სამეცნიერო მუშაობისა და სამხარეთმცოდნეო მასალის შეგროვების მიზნით, დამტკიცებული გეგმის მიხედვით, აწყობს დამოუკიდებლად ექსპედიციებსა და ექსკურსიებს, აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვა მუზეუმების ,სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ექსპედიციებსა და ექსკურსიებში და ეხმარება სათანადო ორგანოებს შეგროვილი მასალების დაცვის საქმეში;

გ) თავისი რაიონის ფარგლებში აწარმოებს მხარის ბუნების, ყოფაცხოვრების, ხელოვნებისა და რევოლუციური ბრძოლის ძეგლების აღრიცხვას, რეგისტრაციასა და დაცვას მუზეუმის გეგმისა და თემატიკის შესაბამისად;

დ) აწყობს სამუზეუმო მასალის მუდმივს, დროებითსა და მოძრავ გამოფენებს;

ვ) პერიოდულად აწყობს ლექციებს, მოხსენებებსა და მოძრავ გამოფენებს თავისი მუშაობის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე სამუზეუმო მასალის ცალკეულ თემებზე, როგორც სარაიონო ცენტრში, ისე სოფ-

ლებში, საკლუბო დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში;

ვ) იმ სპეციალური საკითხების შესასწავლად, რომლებიც მუზეუმის ამოცანებიდან და გეგმიდან გამომდინარეობენ მიავლენს მუზეუმის თანამშრომლებს თავის რაიონში და აგრეთვე, საქართველო სსრ რესპუბლიკის განსახკომის ნებართვით, რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებში.

ზ) მეცნიერული თანამშრომლობის, გამოცდილების გაზიარებისა და კოლექციების გაცვლის მიზნით ამყარებს კონტაქტს, როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან და რესპუბლიკის სხვა მუზეუმებთან, ისე სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებთან;

თ) მუზეუმის ექსპონატების და აგრეთვე ისტორიული ადგილებისა და სხვა ობიექტების დასათვალიერებლად, ორგანიზებული ექსკურსიების ჩატარების მიზნით, ამყარებს კავშირს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სკოლებთან;

ი) აწყობს მეცნიერულ თათბირებსა და კონფერენციებს თავისი მუშაობის გეგმისა და თემატიკის ძირითად საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობას იღებს სხვა დაწესებულებათა მიერ მოწვეულ მეცნიერულ კონფერენციებზე, რომლებიც მუზეუმის მუშაობის საკითხებთან არიან დაკავშირებულნი;

კ) თავისი მასალებით და ლექციებ-საუბრების მოწყობით ეხმარება სკოლებს გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლებაში თვალსაჩინოების გაძლიერებისა და მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებაში;

ლ) თავისი მასალებით და მეთოდური მითითებებით ეხმარება პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მათ მიერ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო და სხვა თემებზე ლექციებისა და მოხსენებების, აგრეთვე გამოფენების მოწყობაში;

მ) აგროვებს, იძენს და ინახავს მუზეუმის მეცნიერულ მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოკუმენტებს.

6. სამხარეთმცოდნეო მასალებისა და მეცნიერული კოლექციების, აგრეთვე მხარის ბუნების და საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი საკითხების პოპულარიზაციის მიზნით მუზეუმი, დამტკიცებული გეგმის მიხედვით, დაამუშავებს გამოსაცემად თავის მეცნიერულ შრომებს, კატალოგებს, მეგზურებს და ცნობარებს.

III. მუზეუმის სტრუქტურა და შტატი.

7. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს აქვს შემდეგი ძირითადი განყოფილებები:

ა) შესავალი განყოფილება;

ბ) ბუნებისმეტყველების განყოფილება;

გ) ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება;

დ) სოციალური მშენებლობის განყოფილება.

8. გარდა ძირითადი განყოფილებებისა, მუზეუმი აწყობს ცალკეულ გამოფენებს ღირსშესანიშნავ სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, არქეოლოგიის, ხელნაწერთა, ნუმიზმატიკის, ხელოვნების, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის და სხვა ქვეგანყოფილებებს (კაბინეტებს).

9. მუზეუმის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი, რომლის ნებართვის გარეშე არ შეიძლება ამ სტრუქტურის შეცვლა ან ქვეგანყოფილებების (კაბინეტების) დაარსება.

10. თავისი ამოცანების შესაბამისად მუზეუმი აწყობს სხვადასხვა დამხმარე დაწესებულებებს, როგორიცაა: ბიბლიოთეკა ლაბორატორიები, არქივი და ფოტოტეკა სარესტავრაციო და სამულაჟო სახელოსნოები, ფოტოლაბორატორია.

11. თავისი ამოცანების განხორციელების მიზნით მუზეუმი ქმნის ადგილებზე მოხალისე მხარეთმცოდნეთა აქტივს და ამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს, როგორც მუზეუმის თანამშრომელ-კორესპონდენტებთან.

12. მუზეუმის შტატს ამტკიცებს საქართ-

ველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი საერთო წესის თანახმად და მუზეუმის მუშაობის მოცულობის შესაბამისად.

IV. მუზეუმის მმართველობა.

13. მუზეუმს სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ანთავისუფლებს საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატი განათლების საარაიონო (საქალაქო) განყოფილების წარდგენით.

მუზეუმის დირექტორს უნდა ჰქონდეს სპეციალური ან საერთო უმაღლესი განათლება.

დირექტორი პასუხისმგებელია მუზეუმის მთელ სამეცნიერო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ფინანსიური მუშაობისათვის.

დირექტორი ასრულებს საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომის და განათლების განყოფილების განკარგულებებს.

14. მუზეუმის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) მუზეუმის მთელი სამეცნიერო, ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ფინანსიურ მუშაობაზე უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა და მუზეუმის წარმომადგენლობა სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ბ) საჭირო ღონისძიებათა დასახვა და გატარება მუზეუმის ამოცანების განსახორციელებლად და მისი სამუშაო გეგმების შესასრულებლად, აგრეთვე მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

15. მუზეუმის წლიურ სამუშაო გეგმას და ანგარიშებს დირექტორი წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომს, ხოლო კვარტალურ გეგმებს ამტკიცებს განათლების განყოფილება.

16. მუზეუმის განყოფილებათა გამგეებს და მეცნიერმუშაკებს ნიშნავს და ანთავისუფლებს საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომი.

მუზეუმის დანარჩენი ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ტექნიკური მუშაკების მიღებას, დანიშვნასა და დათხოვნას აწარმოებს მუზეუმის დირექტორი.

17. მუზეუმის განყოფილების გამგე არის მთელი სამეცნიერო კვლევითი და საექსპოზიციო მუშაობის ხელმძღვანელი თავისი განყოფილების ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილების გამგე პასუხისმგებელია განყოფილების მთელი ქონების დაცვისათვის, მისი სამეცნიერო კოლექციების და სამუზეუმო მასალების რეგისტრაციისა, მეცნიერულად აღწერისა და გამოსაყენებლად განლაგებისათვის.

18. მუზეუმის ერთერთი განყოფილების გამგე ითვლება მუზეუმის სწავლულ მდივნად.

19. მუზეუმის მთელს მუშაობას აწარმოებს მუზეუმის შტატით დამტკიცებული მეცნიერ და ადმინისტრაციულ ტექნიკურ მუშაკთა შემადგენლობა.

V. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

20. მუზეუმის დირექტორთან სათათბირო ორგანოს სახით არსებობს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

21. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) მუზეუმის დირექტორი (საბჭოს თამჯდომარე);

ბ) მუზეუმის განყოფილებათა გამგეები;

გ) მუზეუმის მეცნიერი მუშაკები;

დ) ადგილობრივ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

22. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას განათლების განყოფილება წარუდგენს დასამტკიცებლად რაიონულ (საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტს).

23. სამეცნიერო საბჭო იკრიბება არანაკლებ ერთხელ თვეში და განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) მუზეუმისა და მისი განყოფილებების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების საკითხებს;

ბ) მუზეუმისა და ცალკეული განყოფილებების წლიურსა და კვარტალურ გეგმებსა და ანგარიშებს;

გ) მუზეუმის განყოფილებათა, ქვეგანყოფილებათა და დამხმარე დაწესებულებათა

ორგანიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხებს;

დ) სამუზეუმო ექსპოზიციისა და ეპიზოდურ გამოფენათა თემატიკას და განლაგების პროექტებს;

ე) მუზეუმის ამოცანებიდან და სამუშაო გეგმიდან გამომდინარე ძირითად საკითხებს და მათი შესრულების ღონისძიებებს;

ვ) იძლევა მითითებებს მუზეუმის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმართვის შესახებ.

24. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებას ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი და აფორმებს ბრძანების სახით.

VI. მუზეუმის მატერიალური ბაზა.

25. მუზეუმი იმყოფება სარაიონო (საქალაქო) ბიუჯეტზე.

26. მუზეუმის ბიუჯეტი შედგება:

ა) განათლების განყოფილების ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებისაგან;

ბ) სპეციალური სახსრებისაგან (გამოფენისა და სხვა შემოსავალი).

27. დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე სდგება მუზეუმის ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს განათლების განყოფილება.

28. კრედიტების განმკარგულებელი დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში არის მუზეუმის დირექტორი.

29. მუზეუმი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

30. მუზეუმს აქვს განსახკომის მიერ დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი და შტამპი და საბიუჯეტო და მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში.

ინსტრუქცია

მუზეუმის ექსპოზიციის (გამოფენის) გახსნის წესის შესახებ.

1. მუზეუმის მუდმივი და დროებითი ექსპოზიცია, ან გამოფენა (მოძრადი ჩათვლით) ეწყობა თემატური-საექსპოზიციო გეგმის მიხედვით, რომელსაც იხილავს მუზეუმის მომუშავეთა საწარმოო თათბირი და მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

2. თემატურ-საექსპოზიციო გეგმას, სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმთან ერთად, მუზეუმი დასამტკიცებლად **უდგენს**:

ა) საქ. სახელმწიფო, სახელმწიფო ლიტერატურული, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, საქ. ანტირელიგიური და ვარძიის მუზეუმები საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატს.

ბ) აჭარისა და აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის რესპუბლიკური მუზეუმები აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს.

გ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სამხრეთ-ოსეთის საოლქო განყოფილებას.

დ) მხარეთმცოდნეობის სარაიონო მუზეუმები და მუზეუმ-სახლები სათანადო რაიონის განათლების განყოფილებას.

3. ექსპონატების სიები და ტექსტები (ციტატები, ეტიკეტაჟი, ფოტოსურათები და სხვ.) ისინჯება მთავლიტის ორგანოების მიერ.

4. თემატურ-საექსპოზიციო გეგმის სახალხო განათლების ორგანოებში დამტკიცების შემდეგ და მთავლიტის ორგანოებიდან სათანადო დასტურის მიღებისთანავე დგება საექსპოზიციო გრაფიკი, რომელსაც ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი.

5. აკრძალულია ექსპოზიციის ან გამოფენის მოწყობა თემატურ-საექსპოზიციო გეგმისა და საექსპოზიციო გრაფიკის დამტკიცებამდე.

6. ექსპოზიციის გახსნამდე 3-დღით ადრე მუზეუმის დირექტორი აწყობს გასახსნელ ექსპოზიციის საზოგადოებრივ შემოწმებას: სახალხო განათლების ორგანოების, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების

წარმომადგენელთა, პროპაგანდისტების, მუზეუმის მუშაკთა, აქტივისტ-მასწავლებლების და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით.

გამოფენის საზოგადოერივი შემოწმების შედეგებზე სდგება ოქმი, რომელსაც ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი არ ეთანხმება საზოგადოებრივი შემოწმების დასკვნას, . მან ამის შესახებ უნდა აცნობოს სახალხო განათლების ორგანოებს, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა მუზეუმისათვის.

7. მნახველთათვის ექსპოზიციის გახსნა ფორმდება მუზეუმისადმი გაცემული ბრძანებით. ამავე ბრძანებით უნდა გამოიყოს ექსპოზიციისათვის პასუხისმგებელი პირი.

8. ახალი ექსპოზიციის გახსნისათვის — ყველა საჭირო საბუთი, როგორიცაა: დამტკიცებული თემატური-საექსპოზიციო გეგმა, ექსპონატებისა და ტექსტების სია (მთავლიტის მიერ დადასტურებული), საექსპოზიციო გრაფიკი, საზოგადოებრივი შემოწმების ოქმი და ბრძანება ექსპოზიციის გახსნის შესახებ, უნდა ინახებოდეს მუზეუმის სამეცნიერო არქივში.

საქ. სსრ განსახკომის საკლუბო და სამუზეუმო სამხარეთ-მცოდნეო სამმართველოს უფროსი ბაბისოვნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კომიტეტისა

1940 წლის 7 აგვისტოს

ჩხარის, ჭიათურის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, კასპის, ქუთაისის, საგარეჯოს, ბორჩალოს, წყალტუბოს, წალკის და ლუქსემბურგის რაიონებში საუკეთესო საკლუბო დაწესებულებაზე გამოცხადებული საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის სახელობის სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ

მოისმინა რა ჩხარის, ჭიათურის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, კასპის, ქუთაისის ალკკ რაიკომების მდივნების, განათლების განყოფილებათა გამგეებისა და პ/განნ. ინსპექტორების და აგრეთვე, საგარეჯოს, ბორჩალოს, წყალტუბოს, წალკის და ლუქსემბურგის ალკკ რაიკომების მდივნების მოხსენებანი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავს:

რიგ რაიონებში სოციალისტურ შეჯიბრების გაშლის საფუძველზე საკლუბო დაწესებულებათა მუშაობისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში მიღწეულია თვალსაჩინო გაუმჯობესება.

რეკონსტრუირებულია შაუმიანის სახ. კლუბი კულტურის სახლად, დაეთმო ახალი შენობა ბორჩალოს სარაიონო კლუბს, აგებულია ახალი საკლუბო შენობები ჭიათურის (სოფ. ხრეითი და მანდეეთი), ქუთაისის (სოფ. დღნორისა), კასპის (სოფ. მეტეხი) რაიონებში.

გაუკეთდა კაპიტალური რემონტი ჭიათურის, ბორჩალოს, ქუთაისის და სხვა რაიონების საკლუბო დაწესებულებათა შენობებს თვითდაბეგვრის თანხებიდან, დაუბრუნდათ საკლუბო დაწესებულებებს წინათ ჩამორთმეული შენობები ჭიათურის (სოფ. მერევი), ახალქალაქის (სოფ. ვაჩიანი და ჩამდური) რაიონებში.

დაწყებულია ახალი საკლუბო შენობათა აგება (ქუთაისის, წყალტუბოს და სხვა რაიონებში) თვითდაბეგვრის თანხების გამოყენებით.

შეძენილია ლიტერატურა და კულტინვენტარი ჭიათურის, ქუთაისის, წალენჯიხის და სხვა რაიონებში.

მთელ რიგ საკლუბო დაწესებულებებში მიღწეულია თვალსაჩინო გაუმჯობესება საცნობარო-საკონსულტაციო და სამხედრო თავდაცვით მუშაობაში, აგროზოოტექნიკურ და ანტირელიგიურ პროპაგანდის საქმეში (ქუთაისის, ჭიათურის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, წალენჯიხის და სხვა რაიონებში).

ამ მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, მაგალითად, ჯერ კიდევ ყველა საკლუბო დაწესებულება არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში (ბორჩალოს რაიონის დიდი მუღანლოს, ხოჯორნისა და ოფრეთის საკლუბო დაწესებულებანი, ბაშკიჩეთის რაიონის საჯინის, დემურბულახის და შინდილიარის საკლუბო დაწესებულებანი, ხობის რაიონული კლუბი, ჩხარის კულტურის სახლი), ზოგი საკლუბო დაწესებულება ფორმალურად არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში (ბორჩალოს რაიონის თაქალოს და სარვანის საკლუბო დაწესებულებანი, ბაშკიჩეთის რაიონის ჰამამლოს, ორზუმის, ყარაბულაღის საკლუბო დაწესებულებანი, ჭიათურის რაიონის სვერის სასოფლო კლუბი, კასპის რაიონის აგიანის სასოფლო კლუბი და სხვა).

რიგი საკლუბო დაწესებულებანი არ არიან უზრუნველყოფილი შესაფერისი შენობებით, სამეურნეო და კულტინვენტარით (ბორჩალოს რაიონის თაქალოს სასოფლო კლუბი, წალენჯიხის რაიონის ობუჯის სასოფლო კლუბი და სხვა). ჩხარის კულტურის

სახლის შენობა თვეში 25 დღე დაკავებული აქვს ადგილობრივ თეატრებსა და კინოებს, ხოლო დარჩენილი 5-დღეც კულტსახლის მიერ ვერ არის საკმაოდ გამოყენებული, რაც გამოწვეულია ადგილობრივ ორგანიზაციათა მიერ კრებების და თათბირების კულტსახლში ხშირად ჩატარებით.

ბაშკიჩეთის რაიონის დემურბულახის ქოხ სამკითხველო უმოქმედოა სათანადო შენობის უქონლობის გამო. ამის შედეგად მთლიანად აუთვისებელი რჩება აღნიშნული ქოხ-სამკითხველოს ბიუჯეტი. რიგ საკლუბო დაწესებულებებს თავის დროზე არ აფინანსებენ სასოფლო საბჭოები, ადგილი აქვს დავალიანებას საკლუბო მუშაკთა ხელფასის დარგში (ლაგოდეხის, წალკის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ხობის რაიონებში).

მთელ რიგ საკლუბო დაწესებულებებში სუსტად ტარდება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სუსტადაა დაყენებული ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაცია, საკმაო ყურადღება არ ექცევა სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული სკპ (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის დახმარების გაწევა (ბაშკიჩეთის რაიონის ყარაბულახის სასოფლო კლუბი, წალკის რაიონის კუშჩის სასოფლო კლუბი, ბორჩალოს რაიონის თაქალოს სასოფლო კლუბი, კასპის რაიონის გოსტიბოს ქოხ-სამკითხველო და სხვ.).

ძლიერ სუსტად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა წალკის რაიონში, სადაც 15/IV-მდე მივიწყებული იყო საუკეთესო საკლუბო დაწესებულებაზე გამოცხადებული მე-18 პარტყრილობის სახელობის სოცშეჯიბრების საკითხი, რის გამო არ განხილულა სოცშეჯიბრების 1939 წლის შედეგები. ასევე არ იყო აღნიშნული დროისათვის განხილული ამხ. მ. კალინინის წერილი მშრომელთა დეპუტატების ყველა რაიონისა და სასოფლო საბჭოსადმი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. რიგ საკლუბო დაწესებულებებს არა აქვს შესაფერისი შენობა. წინწყაროს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე თვითონ შესახლდა ქოხ-სამკითხველოს შენობაში, რითაც გააუქმა ამ უკანასკნელის მუშაობა, რაიონში ჩაშლილია მუშაობა საკლუბო მუშაკთა დაუსწრებელი სწავლების ხაზითაც.

რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ხსენებულ რაიონში კულტაქტივის ფართო მასა არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში, ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილება და კომკავშირის ორგანიზაციები საჭირო დახმარებას არ უწევენ საკლუბო დაწესებულებებს, რაიონული კომისიები სუსტად ხელმძღვანელობენ სოცშეჯიბრების მიმდინარეობას, არ ამოწმებენ და არ ისმენენ ცალკეულ საკლუბო მუშაკთა მოხსენებებს სოცშეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ და სხვა.

რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ სუსტია საკლუბო დაწესებულებებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედებითი წრეების მუშაობა, რაც უმთავრესად გამოწვეულია მით, რომ ხელოვნების საქმეთა სამმართველო არ უწევს ხსენებულ წრეებს მეთოდურ დახმარებას: საკლუბო დაწესებულებებს დღემდე არა აქვთ რეპერტუარი, არ გააჩნიათ შესაფერისი პიესები, ხელოვნების სამმართველოს დღემდე არ მიუცია წრეებისათვის სახელმძღვანელო მეთოდ მითითებანი, ჯერ კიდევ ძალზე ცუდათაა დაყენებული მხატვრულ თვითმოქმედებითი წრეების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

რესპუბლიკური კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ჩხარის, ჭიათურის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, კასპის, ქუთაისის, საგარეჯოს, ბორჩალოს, წყალტუბოს, წალკის და ლიუქსემბურგის რაიონების სოცშეჯიბრების კომისიებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის:

ა) მთავარი ყურადღება მიაქციონ საკლუბო მუშაკების და კულტაქტივისტების (მასწავლებლები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, სტახანოველები, ექიმები და სხვ.) სოცშეჯიბრებაში ფართოდ ჩაბმას და აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, დაეხმარონ მათ ბიუჯეტის ათვისებაში, ბიუჯეტგარეშე

40-423/64

სახსრების მოზიდვაში, საკლუბო დაწესებულებათა შენობების კეთილმოწყობაში, საკლუბო მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გატარებაში და სხვ;

ბ) გაატარონ აუცილებელი ღონისძიებანი ყველა საკლუბო დაწესებულებაში მუშაობის გასაუმჯობესებლად, ლექციების, საუბრების, გაზეთების და ჟურნალების ხმამაღალი კითხვის, ყოველდღიური პოლიტიკური ინფორმაციის, საცნობარო-საკონსულტაციო, სამხედრო თავდაცვითი მუშაობის, აგროზოოტექნიკური და ანტირელიგიური პროპაგანდის, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის დახმარების გაწევის, კედლის და საველე გაზეთების სისტემატური გამოშვების მხატვრული თვითმოქმედების და საწრეო მუშაობის სათანადოდ გაშლის უზრუნველყოფით;

გ) სისტემატურად უხელმძღვანელონ და შეამოწმონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა საკლუბო დაწესებულებებში, შეჯიბრების რაიონულ კომისიის სხდომებზე განიხილონ საკლუბო დაწესებულებათა მუშაკების და კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მდივნების მოხსენებები შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ და დასახონ ღონისძიებანი საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

დ) პერიოდულად მოიწვიონ, როგორც რაიონის ცენტრში, ისე ცალკეულ საკლუბო დაწესებულებებში, აქტივისტთა თათბირები, მოახდინონ ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარება და დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებების ლიკვიდაციისა და საკლუბო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ;

ე) დაევალოს წალკის რაიონის სოც. შეჯიბრების რაიონულ კომისიას დასვას საკითხი რაიალმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე წინწყაროს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ქოხ-სამკითხველოს ბინის განთავისუფლების შესახებ და უზრუნველჰყოს უმოკლეს ვადაში აღნიშნული სამკითხველოს მუშაობის წესრიგში მოყვანა;

ვ) დაევალოს ბორჩალოს რაიგანათლების განყოფილების გამგეს ამხ. კოჯაევს მიიღოს საჭირო ზომები, რათა ა. წ. 15/9 მოყვანილი იქნას სრულ წესრიგში თაქალოს კლუბის შენობა; უზრუნველჰყოს იგი გაზეთებით, ჟურნალებით, ლიტერატურით და სათანადო მოწყობილობით;

ზ) დაევალოს ჩხარის რაიონის განგანყოფილების გამგეს ამხ. აბ. ლომთაძეს უმოკლეს ვადაში დასვას საკითხი რაიალმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე თეატრსა და კინოს მიერ კულტურის სახლის შენობით სარგებლობის მოწესრიგებისა და კულტურის სახლის შენობისა და ინვენტარის საექსპლოატაციო ხარჯებში მათი მონაწილეობის შესახებ.

2. დაევალოს ბაშკიჩეთის განგანყოფილების გამგეს მიიღოს ზომები დემურბულახის ქოხ-სამკითხველოსათვის სათანადო ბინის გამონახვის შესახებ.

3. დაისვას საკითხი ხელოვნების სამმართველოს წინაშე საკლუბო დაწესებულებებთან არსებულ მხატვრულ თვითმოქმედებით წრეებზე მეთოდური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის შესახებ.

4. დაევალოს ყველა რაიონის სოცშეჯიბრების კომისიებს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სოცშეჯიბრების კომიტეტებს აღნიშნული დადგენილება განიხილონ საკლუბო მუშაკთა, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მდივნებისა და კულტაქტივისტთა თათბირებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი. მიღებულ ღონისძიებათა შესახებ მასალები გადმოგზავნონ სოცშეჯიბრების რესპუბლიკურ კომიტეტში ა. წ. 10/IX-მდე.

აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

სოცშეჯიბრების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მარ. ბურჭულაძე.

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია — პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

УЭ1928 — შეკვეთის № 2920 — ტირაჟი - 5.000

სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკა-სი“, რუსთაველის პრ. № 36.